საქართველოს მთავრობის

დადგენილება №136

2019 წლის 15 მარტი

ქ. თბილისი

„მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის №326 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 7 ივლისის №326 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 11/07/2017, 340080000.10.003.020035) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ „მეფუტკრეობის სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ერთიანი საწარმოო უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამაში“:

1. მე-4 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. კაპიტალური ინვესტირების ფარგლებში სააგენტოს მიერ განხორციელდება მიწის ნაკვეთზე თაფლის საწარმოსათვის განკუთვნილი 550 $მ^2$ შენობა-ნაგებობის აშენება და მისი აღჭურვა დანართ №1-ით გათვალისწინებული აღჭურვილობითა და დანართ №2-ით გათვალისწინებული საოფისე ავეჯითა და ინვენტარით.“.

2. დანართი №1 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

თაფლის გადამამუშავებელი საწარმოს აღჭურვილობა	რაოდენობა
თაფლის რეზერვუარი (1500 ლიტრი, ორკედლიანი, გამათბობლით)	1
თაფლის საკუპაჟე შემრევით, 2-კედლიანი (750 ლიტრი)	2
თაფლის საკუპაჟე შემრევით, 2-კედლიანი (1500 ლიტრი)	2
სწრაფი გამავლობის ფილტრი	1
ნეილონის ფილტრი	1
ტუმბო 1500 ლ/სთ	5
მაგიდა უჟანგავი ლითონის 2 სამუშაო ადგილით (2000 X 800 X 850)	4
თაფლის ჩამოსასხმელი ტექნოლოგიური ხაზი (თაფლის ჩამოსხმა, ქილების მიწოდება, ქილების მოხუფვა, ხუფზე ჩაჩის დატანა, ხუფზე ჩამოსხმის თარიღისა და შენახვის ვადის დატანა ლაზერით, ეტიკეტირება) წარმადობა 400 ლ/სთ	1
CIP რეცხვის სისტემა	1
მინიპაკეტებში ჩამოსხმის დანადგარი	1
ფიჭის დამამზადებელი დანადგარი	1

ელექტროსასწორი (500 კგ)	1
სამუშაო ურიკა ბიდონებისთვის	1
სამუშაო ურიკა პალეტებისთვის	1
ქილების სტერილიზატორი (ახალი, პირველადი გამოყენების ქილების ჰაერით მყარი ნაწილაკებისაგან გასუფთავება და ულტრაიისფერი დასხივებით მიკრობიოლოგიური სტერილიზაცია)	1
სამრეწველო არმატურა	
მილები (მეტრი)	150
ონკანი	14
მუხლი	40
გადამყვანი	10
სწრაფჩამსხმელი	30
დიზელგენერატორი 40 კვტ	1
რეფრაქტომეტრი (შაქრები, წყლის შემცველობა)	1
PH მეტრი + ელგამტარობის ელექტროდი	1
სპექტროფოტომეტრი (ოქსიმეთილფურფუროლის ანალიზისთვის)	1
ციფრული კოლორიმეტრი	1
მუფელის ღუმელი	1
მიკროსკოპი	1
ტრანსფორმატორი 400 კვტ	1.“.

3. დაემატოს შემდეგი შინაარსის დანართი №2:

„დანართი №2

საოფისე ავეჯი და ინვენტარი	რაოდენობა
კომპიუტერი (სტანდარტული პერსონალური მაგიდის კომპიუტერი – კომპლექტი: სისტემური ბლოკი, უწყვეტი კვების წყარო, მონიტორი, კლავიატურა, მაუსი)	2
პრინტერი	1
კარადა	2
მაგიდა	2
სათათბირო მაგიდა	1
ტუმბო	3

სკამი	30
სავარძელი	2
პროექტორი	1
პროექტორის ეკრანი	1.“.

მუხლი 2
დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**